პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 6 თებერვალი № 31 (16461) ფასი 2 კაპ. 1976

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა აღუთქვამს საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი კვლავაც მაღლა ატარებენ მარქსიზმ-ლენინიზმის მძლეთამძლე დროშას, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ყველა მოქმე ხალხის მხარდამხარ ააგებენ კომუნიზმის დიდებულ შენობას. ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგული, მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია სკკპ მომავალ XXV ყრილობას ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ, გულმოდგინედ და მიზანდასახულად იბრძოლებენ მეათე ხუთწლედში პარტიის გრანდიოზულ ფინასწარდასახულობათა უთუო განხორციელებისათვის.

ᲣᲔᲚᲐᲡᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში (მოხსენებელი — ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე), რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა აღნიშნავს, რომ მეცხრე ხუთწლედში საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნისტური მშენებლობის გზით. გაიზარდა ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. უზრუნველყოფილია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. უფრო მეტად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი, მისი წვლილი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის ეკონომიური პოტენციალის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებები გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, იატელიგენციის შთაგონებული შრომის, მთელი პარტიის, ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობის შედეგია. სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობა მეტად მდიდარი იყო თავისი შინაარსით და ნაყოფიერი — შედეგებით.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მთელი თავისი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა წარმართა პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა მოასწავებდა ახალ დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებაში, მათი აქტივობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში, კომუნისტთა ავანგარდული როლის ზრდაში, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრებაში. განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ვითარდებოდა საბჭოთა დემოკრატია, ახალი ძალით გამოვლინდა ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების გამარჯვება.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი ეტაპი: **პირველი** — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღებამდე; **მეორე** — ამ დადგენილების მიღების შემდეგ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციისათვის.

პირველ ეტაპზე პოლიტიკური ასპექტით სერიოზული გადახვევები იყო დემოკრატიული ცენტრალიზმის ცალკეული პრინციპებიდან, ჯეროვანი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, ბევრ შემთხვევაში კი უგულებელყოფდნენ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიის ამ საბრძოლო ქმედითს იარაღს. ზოგიერთი ხელმძღვანელის პოლიტიკური სახე, მათი პრაქტიკული საქმიანობა ყოველთვის როდი შეესაბამებოდა თანაბედროვე მოთხოვნებს, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს. ეკონომიური ასპექტით ამ პერიოდს ახასიათებდა ხუთწლედის დავალებებისაგან, საერთო-საკავშირო მაჩვენებლებისაგან ჩამორჩეის გაღრმავების ტენდენცია, წარმოების ზრდის ტემპის შენელება, ეკონომიკის განვითარების თვისებრივი მაჩვენებლების გაუარესება, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ელემენტები სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ დროულად გამოავლინა ხუთწლედის დავალებათა არადამაკმაყოფილებელი შესრულების მიზეზები, აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომლებიც დამახასიათებელი იყო არა მარტო დედაქალაქის, არამედ აგრეთვე რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციისათვის.

ხელმძღვანელობდა რა პარტიის ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში ჩამოყალიბებული ამოცანებით, მეორე ეტაპზე საქართველოს კომუნისტური პარტია გადაჭრით განამტკიცებდა პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, სოციალისტურ დემოკრატიას, კომუნისტთა რიგების მონოლითურობას, ყოველმხრივ იღვწოდა რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. ეკონომიკის დარგში ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია წარმოების ტემპის მნიშვნელოვანი ზრდა, სურთო-საკავშირისაგან ზოგიერთი რესპუბლიკური მაჩვენებლის ჩამორჩენის შემცირება, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ხარისხობრივი ფაქტორების გაუმჯობესება.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების ლოგიკური განგრძობა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც მოცემული იყო ნაკლოვანებათა პრინციპული პარტიული შეფასება და რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცების ახალი მიჯნებისაკენ წინსვლის გრანდიოზული პერსპექტივა.

უკანასკნელ ხანს გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, რომლებსაც საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, შემუშავებული იყო ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირფესვიანი გარდაქმნის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მინდობილი საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის გაღიდების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვაზე პარტიული გავლენის გაძლიერების კომპლექსური ღონისძიებები. ამ ღონისძიებათა თანამიმდევრულმა განხორციელებამ კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი. იგი თავის XXV ყრილობას შეეგება განსაკუთრებით ერთიანი და შეკავშირებული ჩვენი პარტიის საბრძოლო შტაბის — სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, რომლებიც უდიდეს მხარდაჭერასა და დახმარებას უწევენ რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციას ამ მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, ცენტრალური კომიტეტის მდივნებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის ბრაერთხელ მიუციათ ლენინურად ბრძოლური რჩევა-დარიგება თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის კარდინალური საკითხების შესახებ.

ამ რჩევა-დარიგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის იმ რთულსა და ძნელ პერიოდში, როცა იღვწოდა, რომ პრინციპულად გარდაექმნა მუშაობის სტილი და მეთოდები რესპუბლიკის ეკონომიური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

განვლილ პერიოდში პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებით მიზანდასახულად მუშაობდნენ, რათა გადაჭრით გაეუმჯობესებინათ საქმის მდგომარეობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, ეკონომიკის განვითარებაში, შეესრულებინათ მეცხრე ხუთწლედის პროგრამა, განემტკიცებინათ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

აქტიურად ვითარდებოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, განხორციელდა საწარმოთა შემდგომი ტექნიკური განახლების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებები, დიდი გაქანება მიეცა სოციალისტურ შეჯიბრებას, მშრომელთა გმირობას.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ვადამდე, 1975 წლის 2 დეკემბერს შესრულდა რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების გაღიდების მეცხრე ხუთწლედის დირექტიული დავალებები. ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 40,1 პროცენტი. ამასთან მთელი მატების 85 პროცენტზე მეტი უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების გაღიდების გზით. მარტო 1975 წელს, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით გამოიმუშავა თითქმის 227 მილიონი მანეთის პროდუქცია, სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 200 მილიონი მანეთის ნაცვლად, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ დაგვეფარა გასული ხუთწლეულის პირველ ორ წელიწადში წარმოქმნილი დანაკლისი.

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები — ელექტროტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა წარმოება და სხვები.

რესპუბლიკის ინდუსტრიაში რაოდენობრივ ცვლილებებთან ერთად მოხდა დიდმნიშვნელოვანი თვისებრივი სტრუქტურული ძვრებიც. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მადნეულის სპილენძის მადნის გამამდიდრებელი კომბინატი. ამით შეიქმნა საქართველოს ახალი მრეწველობის დარგი — ფერადი მეტალურგია. ამოქმედდა მეცხრე ხუთწლედის მეორე დირექტიული მშენებლობაც — ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა, რომელმაც აგრეთვე დასაბამი მისცა რესპუბლიკაში ახალი დიდმნიშვნელოვანი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოებას.

ხუთწლედის უკანასკნელი წლები აღინიშნა ნავთობის საბადოთა აღმოჩენით აღმოსავლეთ საქართველოში. სპეციალისტთა პროგნოზებით საქართველოში ნავთობის მოპოვება 1977 წელს მიაღწევს 1 მილიონ, 1980 წლის დამლევისათვის კი თითქმის 3 მილიონ ტონას. რესპუბლიკაში ისახება ნავთობმომპოვებელი მრეწველობის განვითარებისა და ნავთობქიმიური მრეწველობის შექმნის პერსპექტივა.

უკანასკნელი წლების მანძილზე გარკვეული თვისებრივი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობაში. მიღწეულია მთლიანი პროდუქციის ზრდა, გადიდდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის თვითღირებულება. ისინი, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ღონისძიებათა თანამიმდევრულად განხორციელებას, ამ დიდმნიშვნელოვანი დარგისადმი ხელმძღვანელობის სტრუქტურის გაუმჯობესებას. რესპუბლიკის სოფლების მშრომელებმა პირნათლად გაანაღდეს სოციალისტური ვალდებულებანი. ხუთწლიანი დავალების გადაჭარბებით სახელმწიფოს მისცეს 220 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია — 100 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული. ხუთწლედის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩაის, ციტრუსის, ყურძნის მოსავლიანობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ხაზით მიღწეულია მაჩვენებლები, რომლებიც საუკეთესოა რესპუბლიკის მთელ ისტორიაში. 45 კოლმეურნეობამ და 31 სბჭოთა მეურნეობამ ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შეასრულეს გასული ხუთწლედის გეგმები და გაიმარჯვეს საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კაპიტალური მშენებლობის დარგში ხორციელდებოდა კაპიტალური დაბანდებების, იმ ძირითადი ფონდების განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები, რომელთა ამოქმედება გაიზარდა 39 პროცენტით. წარმოების მთელი მატების 50 პროცენტზე მეტი ხუთწლედის მანძილზე მიღებულია მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით საწარმოთა რეკონსტრუქციის შედეგად. წარმატებით შესრულდა ჩაის ფაბრიკებისა და ღვინის ქარხნების ამოქმედების სოციალისტური ვალდებულებანი, რამაც დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ მოყვანილი მოსავლის, — საქართველოსათვის ძირითად და სპეციფიკურ სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების — ჩაისა და ყურძნის რეკორდული მოსავლის წარმატებით გადამუშავებას.

ბევრი რამ გაკეთდა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარებისათვის. ზოგიერთი დადებითი ძვრა მოხდა იდეოლოგიურ მუშაობაში.

მეცხრე ხუთწლედის მთავარი სოციალურ-ეკონომიური ამოცანა — მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება — საქართველოში ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შესრულდა. ეროვნული შემოსავლის ზრდის საფუძველზე გადიდდა მუშამოსამსახურეთა საშუალო-თვიური ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობებისაგან, 33 პროცენტით გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე მისაცემლები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან და შესაბამისად ამაღლდა სახალხო განათლების, სამედიცინო, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე.

პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დგას მუშაობა ადამიანებთან, ჩვენს საბჭოთა ადამიანთან მისი საქმეებითა და საზრუნავით, მისი ფიქრებითა და განცდებით, მისი საჭიროებებითა და მოთხოვნილებებით. განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, რომელიც მთელ კაცობრიობას უკვალავს კომუნიზმის გზას, არ არის და არც შეიძლება იყოს ადამიანზე ძვირფასი რამ. ადამიანი ჩვენი ფასდაუდებელი სიმდიდრე, ჩვენი ძირითადი, უდიდესი კაპიტალია.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის დედაარსად მიაჩნია მუშაკაცის ამაღლება, სოციალისტური საზოგადოების წამყვანი ძალის — მუშათა კლასის როლის გაზრდა, მისი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის განვითარება, მისი უნარის ყოველმხრივი განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის, მისი ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის მატერიალური და სულიერი წანამძღვრების შექმნა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ მუშაობას ეწევა ჩვენს კოლმეურნე გლეხობაში, რომლის კავშირი მუშათა კლასთან სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური საფუძველია. პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანი ის არის, რომ გაუმჯობესოს კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობა საზოგადოებრივი მეურნეობის ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიური განმტკიცების და ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის გზით, კომუნისტურად აღზარდოს სოფლის მშრომელები. აღმოფხვრას ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავება. მათი სამეურნეო და კულტურული კავშირურთიერთობის ყოველი ღონისძიებით განვითარების გზით.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდად აფასებს და ახალისებს ყოველგვარ შემართებას, რომელიც დამახასიათებელია მოწინავე საბჭოთა, სახალხო ინტელიგენციისათვის, ზრუნავს მისი იდეური წრთობისათვის, უნერგავს მაღალ მოქალაქეობრივ თვისებებს, ყოველნაირად უჭერს მხარს მათს მისწრაფებას ქმნიდეს ხალხისათვის და ერთგულად ემსახუროს მშობელ ხალხს.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად გააქტიურა საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკურმა და მხატვრულმა ინტელიგენციამ. ახალი ტექნიკური საშუალებებით შეიარაღდა სახალხო მეურნეობა. ხალხის სულიერი ცხოვრება გამდიდრდა ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი ნაწარმოებებით.

განვლილ ხუთწლედს ახასიათებდა კომუნისტთა და ყველა მშრომელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შემდგომი ზრდა, კომუნისტური პარტიის როლის ამაღლება საზოგადოების ცხოვრებაში.

პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ უზრუნველყო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება. პარტიულ ორგანიზაციაში აღორძინდა და მტკიცდება დიდი მომთხოვნელობის, გერგილიანობის, ნამდვილი ამხანაგობის ატმოსფერო, რომელშიც ვლინდება კომუნისტთა შემოქმედებითი უნარი და იზრდება მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, საკითხთა განხილვის პროცესში იქმნება აზრთა თავისუფალი გაზიარების პირობები და თვითეულისათვის სავალდებულო ხდება მიღებული გადაწყვეტილება, ვითარდება პრინციპული, ობიექტური კრიტიკა და ასევე სავალდებულო ხდება კრიტიკაზე საქმიანი რეაგირება.

საქართველოს კომპარტიამ, ყველა შეგნებულმა მშრომელმა გადაჭრით დაგმეს ნეგატიური მოვლენები: უყაირათობა, საზოგადოებრივი დოვლათის დატაცება, გაფლანგვა, მექრთამეობა, სპეკულაცია, საბჭოთა ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებებისა და ღირსების ხელყოფა; უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს რესპუბლიკაში პროტექციონიზმის — კომუნისტური მორალის პრინციპების ფართოდ გავრცელებული გადახვევის წინააღმდეგ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა აღნიშნავს, რომ მთელი ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის სრულყოფაში, თანამიმდევრული შორსმიმართული მუშაობის განხორციელებაში, რომლის მიზანია მეცხრე ხუთწლედის პროგრამის შესრულება, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, დიდი როლი ეკუთვნით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, თბილისის საქალაქო კომიტეტს, ყველა საქალაქო და რაიონულ კომიტეტს.

აღნიშნავს რა დადებითს ძვრებს, პოზიტიურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს რესპუბლიკის ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყრილობას ამასთან მიაჩნია, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია განვითარებული სოციალიზმის პერიოდში წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტაში, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ეკონომიკის ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობაში.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობის ბევრმა დარგმა და საწარმომ მთლიანად ვერ შეასრულა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების დავალებები. არ არის მიღწეული გარდატეხა მეურნეობრიობის თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში. ბევრ საწარმოში ცუდად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს. დიდია მოწყობილობის მოცდენა, სამუშაო დროის დანაკარგი, წუნით გამოწვეული ზარალი. ნელა წყდება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხები. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას ჯერ კიდევ არა აქვს სისტემატიზებული, გეგმაზომიერი და მიზანმიმართული ხასიათი.

სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მოთხოვნებს ჩამორჩება მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დონე. 160-ზე მეტი მეურნეობა ზარალიანია. მეცხოველეობისა და მემცენარეობის ბევრი მაჩვენებელი დიდად ჩამორჩება საერთო-საკავშირო დონეს. ჯერ ისევ მცირეა საზოგადოებრივი სექტორის წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის საერთო მოცულობაში.

საკმაოდ ეფექტიანად ვერ ვიყენებთ რესპუბლიკის სამომთაბარო მეცხვარეობის ძირითად ბაზას — ყიზლარის ზამთრის სძოვრებს, სადაც ჯერ არ არის მოგვარებული ინტენსიური საკვებწარმოება სარწყავ მიწებზე.

სერიოზულად ჩამორჩება კაპიტალური მშენებლობა, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკის ყველაზე რთული, ყველაზე სუსტი უბანია. კაპიტალური დაბანდების გეგმა მეცხრე ხუთწლედში ვერ შესრულდა, სისტემატიური ჩამორჩენაა ძირითადი საწარმოო ფონდების, საცხოვრებელი სახლების, კომუნალური ობიექტების ამოქმედებაში. მრავალრიცხოვან ობიექტებზე ძალებისა და სახსრების დაქსაქსვის შედეგად ირღვევა მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები.

სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურების სფეროში არ არის აღმოფხვრილი უყაირათობა, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები, ადამიანებისადმი უსულგულო დამოკიდებულება.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში გვაკლია კონკრეტულობა, შემოქმედება. ძალიან ნელა ინერგება მოწინავე გამოცდილება, საყურადღებო წამოწყებები.

ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა სამეცნიერო დაწესებულებათა, შემოქმედებით ორგანიზაციათა საქმიანობაში, იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა სფეროში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში საკმაოდ არ იკვლევენ კომუნისტური მშენებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ადამიანის ფორმირებაზე. მის ყოველმხრივ განვითარებაზე საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის გავლენის აქტუალურ პრობლემებს, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე პირობებში პიროვნების, კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების შეთანხმების პრობლემებს.

ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, მშრომელთა შეგნებაზე, მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მისი გავლენის გაძლიერების ძირითადი პრობლემები. მრავალმხრივ მოძველდა, შედაგდგიკეს, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის თანამედროვე მიღწევებს ჩამორჩა თავისი მეთოდიკით ზოგიერთი ფორმის პარტიული სწავლება, რომელიც მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ნაკლოვანებანი.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიო მოხსენების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ბოლომდე პრინციპულად და სრულფასოვნად არ ხორციელდება კადრების პოლიტიკა. კვლავ არის გადაჭარბებული პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებიდან, კომუნისტური მორალისა და პარტიული ეთიკის ნორმებიდან.

ბევრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არ იგრძნობა ჯეროვანი მებრძოლურობა და გერგილიანობა, არ არის შექმნილი დიდი პრინციპულობისა და ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის, სამეგობრო, ობიექტური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარება.

იმ ამოცანების სირთულე და მასშტაბი, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები წყვეტენ, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ განვამტკიცოთ, კიდევ უფრო გავაფართოოთ და გავაღრმაოთ მიმდინარე პოზიტიური პროცესები, კიდევ უფრო აქტიურად გავშალოთ მიზანსწრაფული ბრძოლა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს სრული გაჯანსაღებისათვის, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში შემოქმედებითი ვითარების დამკვიდრებისათვის.

საქართველოს კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. კოლექტივებში შემოქმედებითი ენერგიის დიდი მოზღვავება გამოიწვია მეათე ხუთწლედის გრანდიოზულმა ამოცანებმა, რომლებიც ჩამოყალიბებულია XXV ცენტრალური კომიტეტის პროექტში პარტიის XXV ყრილობისათვის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“, მათი უთუოდ შესრულებისათვის საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ყველა პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა **ადგენს:**

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სწორად იქნას მიჩნეული, ხოლო პრაქტიკული საქმიანობა — დამაკმაყოფილებლად.

2. მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს კომუნისტური პარტიის ამ კურსის თანამიმდევრული განხორციელება, რომლის მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველნაირად გაუმჯობესების საფუძველზე.

დაევალოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციასა და საბჭოთა ორგანოს, რომ უზრუნველყონ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა უთუო შესრულება.

3. რესპუბლიკის პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, არსებული რეზერვების გამოვლენისა და მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე, უზრუნველყონ მეათე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდების დავალებათა ვადამდე შესრულება, რაც გათვალისწინებულია პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით.

ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა:

— გავითვალისწინოთ სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სათანადო ცვლილებები მისი შემდგომი ინდუსტრიალიზაციისა და მრეწველობის იმ არალითონტევადი დარგების განვითარების უპირატესი ტემპის საფუძველზე, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავენ; განვახორციელოთ ფაბრიკა-ქარხნების ფილიალების ქსელის გაფართოების ღონისძიებანი;

— გავადიდოთ საწარმოთა და სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის, ინსტიტუტებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევართა ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

— წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონის ყოველნაირი ამაღლების გზით განვზარდოთ შრომის ნაყოფიერება ყველა დარგში. მეათე ხუთწლედის „ძირითად მიმართულებათა“ შესაბამისად და ამ საფუძველზე უზრუნველვყოთ წარმოების მოცულობის მთელი მატების სულ ცოტა 87 პროცენტი;

— მივაღწიოთ მატერიალური რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. თვითეულმა საწარმომ, სამინისტრომ და უწყებამ შეიმუშაოს ლიმიტების, სათბობის, ცემენტის, ხე-ტყის, ბენზინისა და სხვა მასალების დაზოგვის ღონისძიებათა კომპლექსი მეათე ხუთწლედისათვის, რომელთა განხორციელებას მკაცრი პარტიული კონტროლი უნდა გავუწიოთ;

— განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებები წარმოების ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის გადიდებისათვის, ამასთან მხედველობაში მივიღოთ ფონდაღჭურვის, ფონდუკუგების, ელექტროაღჭურვის, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების, მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტის ზრდასთან, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი გაუმჯობესება;

— მინიმალური კაპიტალური დაბანდებით მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის ხარჯზე მივაღწიოთ მთლიანი პროდუქციის საერთო მატებაში სამრეწველო წარმოების მატებას 55-57 პროცენტით. დაევალოთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განსაზღვრონ ამ ამოცანის შესრულებაში თვითეული საწარმოს, ქალაქისა და რაიონის მონაწილეობის წილი.

— სრულვყოთ მრეწველობის საწარმოო სტრუქტურა წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შესაბამისად, განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა გავაუმჯობესოთ არსებული საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა საქმიანობა და შევქმნათ ახალი ასეთი გაერთიანებანი. შევამციროთ ადმინისტრაციულ-საბმართველო პერსონალის ზედმეტი ქვეგანაყოფები;

— ყოველნაირად გავაჯანსაღოთ ისეთი სასარგებლო წამოწყებანი, როგორიცაა:

— რუსთაველი მეტალურგიისა და ქუთაისელი ავტომობილშენებლებისა; ხარისხობრივ მაჩვენებელთა გადიდება მეათე ხუთწლედში საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით;

— ბათუმელი მანქანათმშენებლებისა; თვითეული კვადრატულ მეტრი საწარმოო ფართობის ეფექტიანი გამოყენება;

— სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის ბრიგადისა: პროდუქციის გამოშვების გადიდება ნატურალური განზომილებით და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება თვითეულ სამუშაო ადგილზე.

4. ყრილობა ავალებს პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების რადიკალური ღონისძიებები. ამ მიზნით:

— გაადვილოთ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამის ახალ სახეობათა ნაწარმის გამოშვება, გაუმჯობესონ მისი საექსპლოატაციო და სამომხმარებლო თვისებები, ხარისხის სახელმწიფოთაშორისო ნაწარმის ხვედრითი წონა გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაში გაზარდონ სამუალო საკავშირო მაჩვენებლამდე;

— მრეწველობის ყველა დარგში, სამინისტროებში, უწყებებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში 1976-1977 წლებში დაამთავრონ თვითეული დარგის წარმოების სპეციფიკის შესაბამისად პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავება და დანერგვა.

5. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა განახორციელონ ღონისძიებანი კაპიტალურ მშენებლობაში საქმის გითარების ძირეული გაუმჯობესებისათვის, საწარმოო სიმძლავრეების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის საგეგმო დავალებათა უთუო შესრულებისათვის;

— განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გადიდდეს, მოთხოვნილებათა შესაბამისად, პროგრესული სახეობათა საშენი მასალების წარმოება, გაუმჯობესდეს მათი ხარისხი, გადიდდეს აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ხარისხოვანი ინერტული და მოსაპირკეთებელი მასალებით მშენებლობის უზრუნველყოფას. შეიმუშაონ რესპუბლიკაში საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა და ამ მიზნით ყოველწლიურად გამოჰყონ კაპიტალური დაბანდება საჭირო ოდენობით. განახორციელონ სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის შემდგომი განვითარების კომპლექსური ღონისძიებები;

— უზრუნველყონ მატერიალური რესურსების — ლითონის, ხე-ტყის, ცემენტისა და სხვათა დაზოგვა შემსუბუქებული კონსტრუქციებისა და დეტალების, ახალი პროგრესული მასალების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საბინაო-სამოქალაქო შენებლობაში საუკეთესო საპროექტო და არქიტექტურულ-საგეგმო გადაწყვეტათა გამოყენების გზით; შეამციროონ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება;

— 18-20 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მექანიზმების უფრო სრულად გამოყენების, მშენებლობის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ დანერგვის, ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის ნ. ზლობინის მეთოდით ბრიგადული იჯარის დანერგვის გზით;

— კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ასამაღლებლად მატერიალური რესურსები და მუშახელი უწინარეს ყოვლისა გაგზავნონ ასამუშავებელ და ადრე დაწყებულ მშენებლობათა დასამთავრებლად და მიაღწიონ დაუმთავრებელი მშენებლობის მნიშვნელოვან შემცირებას;

— უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ ენგურჰესის ამოქმედება 1977 წელს;

— უზრუნველყონ იმ საწარმოო სიმძლავრეთა მატება მეოვნეობაში, ჩაისა და საკონსერვო მრეწველობაში, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შეუფერხებელი გადამუშავებისათვის, მიაღწიონ, რომ ვადამდე ამოქმედდეს მსუბუქი და კვების ინდუსტრიის ობიექტები;

— მოსთხოვონ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს განახორციელონ ყველაზე გაფამწყვეტი ღონისძიებანი საბინაო მშენებლობაში ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და ბარაკების აღებისათვის;

— მიაღწიონ, რომ ყოველწლიურად იზრდებოდეს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდების მოცულობა; მიზანშეწონილად მიიჩნიონ, რომ ფართოდ გავრცელდეს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს №№ 1, 8 და 14 ტრესტების ინიციატივა, რათა 7 ნოემბრისათვის შესრულდეს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმები; ყველგან დანერგონ უწყვეტი მშენებლობის ორიოლელთა მეთოდი;

— 1976 წლიდან მოყოლებული განსაზღვრონ სახსრების ათვისებისა და საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ყოველთვიური , დაგალენი, რომელთა შესრულებისათვის დააწესონ მკაცრი პარტიული პასუხისმგებლობა; შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარისხს, მათ არქიტექტურულ იერს, მიკროარაონების კომპლექსურ განაშენიანებას.

6. დაევალოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მთელ რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციას ეფექტიანი ღონისძიებანი განახორციელონ საზოგადოების წამყვანი ძალის — მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდგომი ამაღლებისათვის:

— უზრუნველყონ მომუშავე ახალგაზრდობის განათლების დონის განუწყვეტელი ამაღლება იმ გზით, რომ წარმოებას მოუწყვეტლივ ჩაებას სწავლაში — სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში; გეგმაზომიერად გადაიყვანონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სწავლების სისტემაზე, რომელიც საშუალო განათლებას იძლევა;

— გააუმჯობესონ წარმოების ორგანიზაცია, შექმნან თვითეულ სამუშაო ადგილზე მაღალნაყოფიერი შრომის პირობები, ყოველნაირად დანერგონ მეცნიერული ორგანიზაცია, საწარმოო ესთეტიკა, აამაღლონ წარმოების ტექნიკური მდგომარეობის დონე, ყველაფერი იღონონ, რათა შრომის შინაარსი მოითხოვდეს საქმისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას, აამაღლონ შრომითი საქმიანობის აღმზრდელობითი როლი;

— მუშათა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლების მიზნით გააუმჯობესონ მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების, ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოების, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საზოგადოების საქმიანობა. რეკომენდაცია მისცენ არჩევითის ორგანოებში — პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ კომიტეტებში მუშათა კლასის ყველაზე ავტორიტეტულ წარმომადგენელთა სავალდებულო ჩაბმას;

— პარტიულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ შრომითი კოლექტივების გარდაქმნა მუშათა მსოფლმხედველობრივ-ხელობრივი აღზრდის ნამდვილ ცენტრებად, გამოუმუშაონ მათ ისეთი თვისებები, რომლებიც რესპუბლიკის თვითეულ მუშას გადააქცევს პარტიის პოლიტიკის აქტიურ გამტარებლად და მეათე ხუთწლედის პროგრამას აღიქვამს როგორც პირად, ღვიძლ საქმეს.

7. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მეათე ხუთწლედში მთავარ ამოცანად მიეჩინოთ მთლიანი პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობის გადიდება 24 პროცენტამდე, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა — 40 პროცენტამდე;

— უზრუნველვყოთ 1980 წლისათვის ჩაის ნედლეულის წარმოების მოცულობის ზრდა 360 ათას ტონამდე, ჟურმნისა — 800 ათას ტონამდე, ხილისა — 650 ათას ტონამდე, ციტრუსებისა — 155 ათას ტონამდე, ბოსტნეულისა — 575 ათას ტონამდე, კარტოფილისა — 390 ათას ტონამდე;

— შეავსრულოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადწყვეტილება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და საჭირო საკვები ბაზის შექმნის შესახებ, ამასთან მხედველობაში მივიღოთ საკვები სავარგულების პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდება როგორც რესპუბლიკაში, ისე ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე;

— საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის მთელი მუშაობა დაუქვემდებაროთ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ამოცანას — ყველა სახეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მეცხოველეობის გადაქცევას სოფლის მეურნეობის რენტაბელურ დარგად;

— საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომმა ამ ამოცანების საფუძველზე შეიმუშაონ თვითეული რაიონის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხუთწლიანი დავალებანი ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით:

განახორციელონ ღონისძიებები კოლხეთის დაბლობზე 40 ათასი ჰექტარი მიწის ამოშრობისათვის, აგრეთვე 60 ათას ჰექტარზე ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობისათვის, გადიდონ თვითეული ჰექტარი მელიორირებული მიწის ნაყოფიერება, რაციონალურად გამოიყენონ სარწყავი წყალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი, გარანტირებული მოსავლის მიღების მიზნით;

— ფართოდ გაავრცელონ ახალქალაქის რაიონის ვაჩანის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ინიციატივა საწარმოო პროცესების მექანიზაციის, მცირე მელიორაციის განვითარებისა და ამ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის;

— გააძლიერონ პარტიული ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების როლი კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში; ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ მეურნეობანი კვალიფიციური მექანიზატორებით, შეიქმნან მათ საჭირო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები;

— აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების ხარისხისათვის, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის ეფექტიანობის ამაღლების აპრობირებულ რეკომენდაციათა დანერგვისათვის;

— მეათე ხუთწლედის პირველ წელსვე მიაღწიონ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მნიშვნელოვან გადიდებას; ამ მიზნით უზრუნველყონ პირუტყვის გამრავლებისა და ორგანიზებული დამთავრება, საგაზაფხულო თესვის სანიმუშო მომზადება და ჩატარება და ამით საძირკველი ჩაუყარონ მარცვლეულისა და სხვა კულტურების უხვ მოსავალს.

8. გავითვალისწინოთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის პროდუქციის წარმოების მზარდი მოცულობები, აგრეთვე საგარეოეკონომიური კავშირურთიერთობის დარგში საქონელბრუნვის ზრდა და გაძლიერით ყურადღება ყველა სახეობის ტრანსპორტის — რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო და კიდევ სადაგირო გზების მუშაობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისადმი. შესაბამის პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, ხელმძღვანელებს მოვთხოვოთ აამაღლონ ტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობა, გაბარდონ შრომის ნაყოფიერება შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გზით. გააუმჯობესონ მგზავრთა მომსახურების ხარისხი. უზრუნველყონ კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარება, აღმოფხვრან სახალხო მეურნეობისა და ამ საშუალებათა განვითარების ტემპის დისპროპორცია, მიაღწიონ კავშირგაბმულობის მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ძირეულ ამაღლებას.

9. დაევალოთ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს ყოველი ღონე იხმაროონ, რათა შესრულდეს საქართველოს საწარმოო ძალების განვითარების პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შემდეგი პრობლემების გადაჭრას:

ქვაბრეთ-ახალქალაქის რკინიგზის შტოს მშენებლობა; სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო ტრაქტორებისა და მანქანების ქარხნის მშენებლობა; მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განვითარება და მთელი რიგი სხვა პრობლემები.

10. გაგაუმჯობესოთ რესპუბლიკაში საგეგმო-ეკონომიური მუშაობა. სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გარდაქმნან და თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დააყენონ საგეგმო-სალიმიტო და სააღრიცხვო-სტატისტიკური სამსახურების მუშაობა;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშაოს და გადაჭრას რესპუბლიკის ეკონომიკის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემები, სრულყოს სახალხო მეურნეობის დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, უზრუნველყოს შრომითსა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან კავშირების უფრო სრული შეუფარებლობა, წლიური, ხუთწლიანი და გრძელვადიანი გეგმების ურთიერთშეთანხმება, მიაღწიოს მათს მაღალ მეცნიერულ დასაბუთებას;

— საქართველოს სსრ მთავრობამ უზრუნველყოს ტექნიკური საშუალებებითა და მატერიალური რესურსებით სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი მომარაგება, მიაღწიოს შეკვეთების ოპტიმალურ განაწილებას და მოაგვაროს სტაბილური კოოპერირებული კავშირურთიერთობა მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, რათა არ დაუშვას საწარმოო გეგმის ჩაშლა. მიწოდებათა დადგენილი ვადებისა და პირობების დარღვევის მიზეზით, მოაწყოს ფონდების ზუსტი რეალიზაცია;

— შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა აქტიურად გამოავლინოს სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილება კადრებზე და წინასწარ გამონახოს მისი უზრუნველყოფის წყაროები;

— საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახლბანკისა და მშენბანკის რესპუბლიკურმა კანტორებმა აამაღლონ სახალხო მეურნეობის საფინანსო-საკრედიტო მუშაობის დონე, გაუმჯობესონ ეკონომიური ანალიზისა და კონტროლის ხარისხი, უზრუნველყონ სამეურნეო სახსრების სრული მობილიზაცია და მათი რაციონალური გამოყენება ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, გაფართოოთ კრედიტების გამოყენების სფერო წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, გაუმჯობესონ საანგარიშსწორებო დისციპლინის მდგომარეობა, დაიჩქარონ სამრეწველო სახსრების ბრუნვადობა;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გაუმჯობესონ მუშაობა ფასწარმოქმნის დარგში. უზრუნველყონ ფასების მარეგულირებელი ზემოქმედება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის ეკონომიურ სტიმულირებაზე;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ძირფესვიანად გარდაქმნან სააღრიცხვო-სტატისტიკური მუშაობა, გასწიონ სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგში სამეის მდგომარეობის ღრმა, მეცნიერული ანალიზი, სისტემატურად ადევნონ თვალყური ეკონომიკის განვითარებაში მიმდინარე პროცესებსა და ტენდენციებს. სისტემატურად იძლეოდნენ სიგნალებს თუ მოსალოდნელია სახელმწიფო გეგმების შესრულების ჩაშლა და წარუდგინონ რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს საჭირო რეკომენდაციები და წინადადებები.

11. დაავალოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო აღმასკომს, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს:

— საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების გეგმის შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მომსახურების სფეროს დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, მოსახლეობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოებისათვის, აამაღლონ მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე და კულტურა, სრულყონ მატერიალური და მორალური სტიმულირება, ფართოდ დანერგონ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკთა შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები;

— გაუმჯობესონ მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, უზრუნველყონ კეთილსინდისიერი და საქმის ერთგული მუშაკების, ქალებისა და ახალგაზრდობის ჩაბმა მომსახურების სფეროში, კერძოდ, ხელმძღვანელ სამუშაოზე; ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში ქალთა ხვედრითი წონა მეათე ხუთწლედის დამლევისათვის გაზარდონ 75 პროცენტამდე, ცეკავშირის სისტემაში — 55 პროცენტამდე და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში — 40 პროცენტამდე;

— მკვეთრად გააძლიერონ ბრძოლა ყოველგვარი დარღვევისა და ბოროტმქმედების წინააღმდეგ, მიანიჭონ მას ახალი ძალა, ახალი გაქანება, გადაიქცეონ ჭეშმარიტად ყოვლისმომცველ საყოველთაო-სახალხო ბრძოლად, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ მომსახურების სფეროში წესრიგის დამყარება ამჟამად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ დარგების ხელმძღვანელობის საქმეში;

— განახორციელონ ღონისძიებები, რათა ძირეულად გაუმჯობესონ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, განსაკუთრებით მთიან და დაშორებულ რაიონებში.

12. უზრუნველვყოთ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების დარგში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის განუხრელი განვითარება. მეცნიერთა მუშაობა წარმართოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაფართოოთ და გაღრმაოთ ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებათა კვლევა, დაჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობის ზრდა, ჩაუნერგონ კომუნისტური მსოფლმხედველობა მშრომელებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა, სამეცნიერო დაწესებულებათა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესონ მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის, კოორდინირებისა და დაფინანსების და მათი შედეგების დანერგვის სისტემა, მიაღწიონ ძალებისა და სახსრების კონცენტრაციას ყველაზე აქტუალური სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრისათვის, უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ თანამშრომელთა სამუშაო დრო, გაუმჯობესონ კადრების შერჩევა, მომზადება, აღზრდა და განაწილება, აამაღლონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მეცნიერული პროექტების ხარისხისა და მათი ეფექტიანობისათვის.

დაევალოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას მეცნიერთა და წარმოების სპეციალისტთა ფართო წრის მონაწილეობით რეგულარულად მოაწყოს მეცნიერულ მიღწევათა შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესახებ ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების რეკომენდაციათა ყოველმხრივი და ღრმა განხილვა.

13. კიდევ უფრო განვავითაროთ სახალხო განათლების სისტემა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად. განვავითაროთ და სრულვყოთ საყოველთაო-საშუალო განათლება. ავამაღლოთ მოსწავლეთა სწავლების, კომუნისტური აღზრდის ხარისხი, განვახორციელოთ ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო

(დასასრული მე-3 გვ.).

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიო მოხსენების გამო

(დასასრული)

სკოლის, განსაკუთრებით სოფლის სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციაში;

— საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა სწავლებაში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ მათი პროფესიული მომზადების ხარისხს, იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და ამაღლდეს საზოგადოებრივი აქტივობა; დავნერგოთ სასწავლო პროცესში ტექნიკური საშუალებები და მასალის გადმოცემის ახალი, უფრო ეფექტიანი მეთოდები; აღვგურვოთ კაბინეტები, სახელოსნოები, ლაბორატორიები თანამედროვე მოწყობილობით, ხელსაწყოებით, ინსტრუმენტებით, აპარატურით. უზრუნველვყოთ მოსწავლეები და სტუდენტები მშობლიურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით;

— აღმოვფხვრათ დისპროპორცია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის უმაღლესი განათლების მქონე კადრებით უზრუნველყოფაში კადრების მომზადებისა და განაწილების დაგეგმვაში მეცნიერული საფუძვლების გამოყენების გზით, ამასთან გავითვალისწინოთ მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური და კულტურული პროგრესი; დავიწყოთ წარმოების ორგანიზაციისა და მართვის დარგში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადება;

— განსაკუთრებით ვიზრუნოთ მასწავლებელთა კადრების მომზადებისათვის, გავაფართოოთ საუნივერსიტეტო განათლების მქონე პედაგოგთა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებადი, პერსპექტიული დისციპლინებისა და დარგების სპეციალისტთა გამოშვება.

14. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის ცენტრალურ ამოცანად მივიჩნიოთ ის, რომ მშრომელებს ჩაუნერგონ მაღალი პოლიტიკური შეგნება, შრომისა და სახოგადოებრივი მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, დისციპლინა და ორგანიზებულობა, დღენიადაგ აამაღლონ მათი შემოქმედებითი აქტივობა:

— გააძლიერონ მუშაობა იდეოლოგიური საქმიანობის სამივე ძირითადი ლენინური მიმართულებით:

თეორიული მუშაობის გაუმჯობესების, მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის თეორიული გაშუქების დარგში;

მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და აქტიური კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დარგში;

საგაგანდაგო-მასობრივი მუშაობის უკეთ დაყენების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალების სრულყოფის საქმეში;

— დაინახონ მიღებულ გადაწყვეტილებათა და მოქმედების თეორიული, მეცნიერული საფუძველი, წინასწარ განჭვრიტონ მათი შედეგები, აამაღლონ ჩვენი კადრების, კომუნისტებისა და კომკავშირელების, საზოგადოების ყველა წევრის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები;

— ფართოდ გაუწიონ პროპაგანდა წარმოების მოწინავეთა მიღწევებს, სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორთა გამოცდილებას, მზრუნველობით მოეკიდონ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განვითარებას;

— გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, იმ გზით, რომ კიდევ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, შეაფასებმონ აღზრდის პროცესის მონაწილე ყველა რგოლის საქმიანობა; შეაფასონ ხელმძღვანელთა მუშაობა, უწინარეს ყოვლისა კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მდგომარეობის მიხედვით;

— ღრმად შეისწავლონ ადამიანთა სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების პროცესები, საზოგადოებრივი აზრი, უფრო მეტად გაითვალისწინონ ისინი ყოველდღიურ აღმზრდელობითი მუშაობაში; დღენიადაგ სრულყონ მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური წრთობის, მათი პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიური განათლების ყველა ფორმა; გაძლიერონ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა, პოლიტინფორმატორთა, აგიტატორთა ჯგუფების საქმიანობა, მიაღწიონ ზეპირი პოლიტიკური და თვალსაჩინო აგიტაციის მუდმივ აქტივობას;

— განსაკუთრებული მნიშვნელობა იდეოლოგიურ მუშაობაში მიანიჭონ ინტერნაციონალურ და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთობლივი მუშაობის პროპაგანდას, მომძე სოციალისტურ ქვეყნებთან, კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან სოლიდარობის განმტკიცებას. ამავე დროს გამოიყენონ ანტიკომუნიზმისა და ანტისაბჭოურობის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი შეტევითი არსენალი;

— გააძლიერონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის, ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, საბჭოთა ადამიანის ბედნიერების საკეთილდღეოდ დიდი სოციალური გარდაქმნებისათვის მისი კურსის პროპაგანდა. ამასთან საერთოსახალხო ხასიათი მიანიჭონ საბჭოთა სინამდვილისათვის უცხო გამოვლინებებს: სოციალისტური საკუთრების დატაცების, შექრთამეობის, პროტექციონიზმის, მუქთახორობის, ბიუროკრატიზმის, კარიერიზმის, კერძოსაკუთრული ტენდენციების, მაგნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ უკომპრომისო შეტევას და გადაჭრით აღმოფხვრან ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთები. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საზოგადოების ცხოვრებაში ამგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელი მუშაკების პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას. აღზარდონ კომუნიზმისათვის აქტიური და მტკიცე მებრძოლები;

— კიდევ უფრო აამაღლონ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს როლი და აქტივობა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღების საქმეში, გადააქციონ ისინი ნამდვილ კოლექტიურ აგიტატორად, პროპაგანდისტებად და მასების ორგანიზატორებად.

15. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შემოქმედებითის ინტელიგენციასთან მუშაობაში მიაღწიონ მიზანდასახულ და გონივრულ მიდგომას; გააძლიერონ ზრუნვა მისი იდეური წრთობისათვის.

საქართველოს მწერალთა, ჟურნალისტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა, არქიტექტორთა კავშირებმა, თეატრალურმა საზოგადოებამ და მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი სოციალისტური რეალიზმის, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებზე დამყარებული ლიტერატურისა და ხელოვნების, პუბლიცისტიკის ახალი ნაწარმოებების შექმნას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს კულტურულ და სოციალურ პროგრესს, ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების დაძლევას, ნათელი კომუნისტური იდეალების დამკვიდრებას.

16. დაევალოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს განუხრელად და თანამიმდევრულად, მტკიცედ განახორციელონ პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი გაძლიერების კურსი, ამასთან გამთვალისწინონ, რომ სულ უფრო ფართოვდება სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველ უბანზე პარტიის შემოქმედებითი საქმიანობის მასშტაბი; უზრუნველყონ, რომ იზრდებოდეს და უმჯობესდებოდეს პარტიის თვისებრივი შემადგენლობა მისი რიგებისათვის მოწინავე, ყველაზე შეგნებული მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის წარმომადგენლების მკაცრი ინდივიდუალური შერჩევის გზით, და პარტიის სოციალურ შემადგენლობაში კვლავ მთავარი ადგილი ჰქონდეს მუშათა კლასს.

— თანამიმდევრულად განახორციელონ პარტიულ ხელმძღვანელობაში დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განვითარების, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დაცვის მტკიცე ხაზი;

— უზრუნველყონ, რომ კომუნისტები ფართო ქმედითს მონაწილეობას იღებდნენ პარტიის ცხოვრებასა და მუშაობაში, პარტიული პოლიტიკისა და პრაქტიკის საკითხების კოლექტიურ განხილვასა და გადაწყვეტაში; მკვეთრად გაუმჯობესონ პარტიული კრებების, პლენუმებისა და აქტივების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკა, აამაღლონ არჩევითი პარტიული აქტივის როლი და პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებათა შემუშავების ხარისხისა და რეალიზაციისათვის; მკაცრად დაიცვან ხელმძღვანელობის კოლექტიურობისა და კოლეგიურობის, პარტორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობისა და ანგარიშვალდებულობის პრინციპები;

— მთელი პარტიული მუშაობის მთავარ მიმართულებად მიიჩნიონ პოზიტიური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოება და გაღრმავება. მიაღწიონ მის კონცენტრაციას ჯერ კიდევ არსებულ ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის, რესპუბლიკის ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების ძირითადი მთავარი პრობლემების გადაწყვეტისათვის;

— თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში, პარტიულ ორგანოში უზრუნველყონ კომუნისტების, მშრომელთა ფართო ფენების კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შემოსვლის, ანალიზისა და რეაგირების წესი, გააუმჯობესონ შინაპარტიული ინფორმაციის დაყენება; შექმნან პირობები, რათა ქმედითი მასობრივი კონტროლი გაეწიოს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებას, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების აპარატების მუშაობის ხარისხს. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმონ იმას, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოიყენონ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი და, განსაკუთრებით, სამეურნეო ორგანოების აპარატების მუშაობისადმი კონტროლის უფლება;

— აამაღლონ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დონე, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული კომუნისტი ზუსტად ასრულებდეს წესდების მოთხოვნებს, კომუნისტების ავანგარდული როლის, კომუნისტის საქმიანობისადმი და, განსაკუთრებით, სამეურნეო ორგანოების აპარატების მუშაობისადმი კონტროლის უფლება;

— აამაღლონ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დონე, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული კომუნისტი ზუსტად ასრულებდეს წესდების მოთხოვნებს, კომუნისტების ავანგარდული როლის, კომუნისტის საქმიანობისადმი და, განსაკუთრებით, სამეურნეო ორგანოების აპარატების მუშაობისადმი კონტროლის უფლება;

— შეისწავლონ და განაზოგადონ პარტიის რაიკომებთან, საქალაქო და საოლქო კომიტეტებთან და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიების საქმიანობის პრაქტიკა, შეიმუშაონ ღონისძიებები, რომლებიც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვის უზრუნველყოფაში მათი როლის შემდგომი გააქტიურებისა და გაძლიერების წინაპირობებს ქმნის; სრულყონ პარტიული კომისიების მუშაობის სტილი და მეთოდები, მიაღწიონ, რომ ისინი, ნამდვილად იყონ პარტიული კომიტეტების აქტიური თანაშემწეები, მათი ქმედითი ორგანოები;

— გააძლიერონ ყურადღება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისადმი, მტკიცე შეგნებული დისციპლინის უზრუნველყოფისადმი, პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საკუთარი გადაწყვეტილებებისა და პარტიული დავალებების შესრულებისათვის ბრძოლაში თვითეულის პერსონალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისადმი; გაუმჯობესონ ინდივიდუალური მუშაობა კომუნისტებთან, უფრო სრულად და შემოქმედებითად გამოიყენონ ამ საქმეში პარტიული დოკუმენტების გამოცვლის პერიოდში შეძენილი გამოცდილება;

— უზრუნველყონ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში პარტიის პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელება. გადაჭრით, მთელი პარტიული პრინციპულობით აღმოფხვრან ფორმალიზმი, ბიუროკრატიული, აგდებული დამოკიდებულება კადრებისა და მათი რეზერვისადმი, მოსპონ გაუპიროვნება, უზრუნველყონ კადრებთან მუშაობაში მათი ნდობისა და პატივისცემის დიდ მომთხოვნელობასთან შეხამება.

— უფრო თამამად დააწინაურონ ხელმძღვანელ საბჭოთა, მუშათა კლასის, გლეხობის ყველაზე მოწინავე წარმომადგენლები, ქალები. მოთმინებით და მზრუნველურად აღზარდონ კადრები და განაგრძონ ახალი, ახალგაზრდა კადრების გაბედული დაწინაურების კურსი, რომელებსაც აქვთ პრაქტიკული საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება, ამასთან უზრუნველყონ ძველი და ახალგაზრდა მუშაკების გონივრული შეხამება;

— განსაკუთრებით იზრუნონ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დასაწინაურებლად კადრების რეზერვისათვის; შექმნან პირობები მათი შემოქმედებითი ზრდისა და საქმიანი კვალიფიკაციის დაბვეწისათვის. მკვეთრად გააძლიერონ ყურადღება კადრების სწავლებისა და მომზადების სისტემის სრულყოფისადმი, რომელიც შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონის თანამედროვე მოთხოვნებს;

— მიაღწიონ იმას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი მუშაობის ყველა ძირითად უბანს სათავეში ედგნენ კომპეტენტური მუშაკები, რომლებსაც ახასიათებთ თავმდაბლობა, საქმიანი მიდგომა, გულისხმიერება ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, და შეუძლიათ დაიმსახურონ მათი სიყვარული, იყონ კოლექტივების ზნეობრივი ხელმძღვანელები, მთელი სიღრმითა და მასშტაბურობით ესმოდეთ პარტიის პოლიტიკა, უნარი შესწევდეთ განახორციელონ იგი პრაქტიკულად და პასუხი აგონ მისთვის.

17. პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგნად ჩაითვალოს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება. დღენიადაგ სრულყოთ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა მთელი სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობის, საზოგადოების მართვა-გამგეობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის საქმეში.

გავაუმჯობესოთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობა, ავამაღლოთ მათი როლი სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, ამასთან მივაღწიოთ იმას, რომ ისინი სრულად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს, რწმუნებულებებსა და შესაძლებლობებს. ავამაღლოთ ყველა თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა საბჭოებისა და დეპუტატების სტატუსის კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვისათვის.

ავამაღლოთ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის დონე, გადავაქციოთ ისინი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უფრო აქტიურ თანაშემწეებად წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელი შესრულებისათვის ბრძოლაში.

პროფესიული კავშირების მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ წარმოების მართვაში მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის გაამტკიცებას, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველი, ყაირათიანი დამოკიდებულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას.

გავაუმჯობესოთ კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, ავამაღლოთ მათი როლი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, მისთვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და ღრმა იდეური მრწამსის ჩამოყალიბებაში. აღვზარდოთ ახალგაზრდობა პარტიისა და ხალხის სახელოვანი რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, გულმოდგინედ ჩავუნერგოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს სპეტაკი ზნეობრივი თვისებები, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ნამდვილი კოლექტივიზმისა და ამხანაგობის გრძნობა.

მოვთხოვოთ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშიელ ორგანოებს გაძლიერონ მუშაობა მშრომელთა შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის, მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის, სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფისათვის.

გავააქტიუროთ შინაგან საქმეთა ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოების საქმიანობა დამნაშავეთა თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის, უზრუნველვყოთ სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა, ავამაღლოთ სამართლებრივი პროპაგანდის დონე, მივაღწიოთ ადმინისტრაციული ორგანოების მჭიდრო ურთიერთკავშირს, მათს ოპერატიულობას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა აღუთქვამს საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი კვლავაც მაღლა ატარებენ მარქსიზმ-ლენინიზმის მძლეთამძლე დროშას, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ყველა მოძმე ხალხის მხარდამხარ ააგებენ კომუნიზმის დიდებულ შენობას. ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგული, მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია სკკპ მომავალ XXV ყრილობას ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ, გულმოდგინედ და მიზანდასახულად იბრძოლებენ მეათე ხუთწლედში პარტიის გრაადიოზულ წინასწარდასახულობათა უთუო განხორციელებისათვის.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ გამო

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ზ. ა. პატარაიძის მოხსენება — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ქვეყნის შემდგომი განვითარების რეალისტური პროგრამა, რომელიც მთლიანად შეესაბამება ხალხის ძირეულ საარსებო ინტერესებს, კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრულ განხორციელებას — მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის იდმავლობას საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე.

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაში ითვალისწინებს . მრეწველობის განვითარების ტემპს, ამასთან ისეთი დარგების უპირატეს ზრდას, როგორიც არის ელექტროტექნიკური, ჩარხსაკეთებელი და ქიმიური მრეწველობა. ჰიდროელექტროსადგურების საექსპლოატაციოდ გადაცემა უზრუნველყოფს ელექტროენერგიის წარმოების ზრდას 1,5-ჯერ. ოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებულია განხორციელდეს კოლხეთის დაბლობის დაშრობის, კახეთის რაიონების ბარაქიანი მიწების რწყვის დიდი სამუშაოები, ყურძნის, ციტრუსების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი ზრდა.

ყოველივე ამას ადამიანები აღიქვამენ დიდი კმაყოფილებით, შემოქმედებითი აღფრთოვანებით.

პარტიულ ორგანიზაციებში, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე, მშრომელთა კრებებზე პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვა დიდ შრომითსა და პოლიტიკურ აღმავლობას იწვევს. კომუნისტები და ყველა მშრომელნი მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ პარტიის მიერ დასახულ ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს ახალ ხუთწლედში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“.

2. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, რესპუბლიკის საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანოებმა — გააჩაღონ ბრძოლა საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, შრომაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და განავითაროონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, რომლის მიზანია მუშაობის ყველა ისეთი თვისებრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება, როგორიც არის კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენება, მატერიალური რესურსებისა და ცოცხალი შრომის ეკონომია. ყველაფერი იღონონ, რათა მეათე ხუთწლედი ეფექტიანობის ხუთწლედი, ხარისხის ხუთწლედი გახდეს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ითვალისწინებს რა არსებულ რეზერვებს, ყრილობას შესაძლებლად მიაჩნია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდეს პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით საქართველოს სს რესპუბლიკის განსაზღვრული დავალებები და ნაკისრ ვალდებულებებში აისახოს დაწესებული მიჯნების გადამეტება.

3. გაგრძელდეს პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ განხილვა და განმარტება, ფართოდ გამოვიყენოთ საამისოდ პარტიული პროპაგანდისა და მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის ყველა საშუალება, მშრომელთა სწავლებისა და ეკონომიური განათლების ყველა ფორმა.

4. დაევალოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განაზოგადონ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ პროექტის შესახებ კომუნისტთა, ყველა მშრომელთა მიერ გამოთქმული შენიშვნები, კრიტიკული გამონათქვამები და წინადადებანი და გაითვალისწინონ ისინი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროს.

დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე წინადადებანი განსახილველად წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

5. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმის შედგენაში მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა, ინტელიგენციის წარმომადგენელთა ფართო და აქტიური მონაწილეობა.

6. რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, საქინფორმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტებმა ფართოდ გააშუქონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვის მიმდინარეობა პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი, ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებში.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი განუხრელად იგლიან წინ სწორი გზით, ლენინური კურსით და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ **კომუნისტური საზოგადოების** მშენებლობის საქმეში.

მსოფლიო
დღეს

ჰ. კისინჯერის გამოსვლა

ვაშინგტონი, (საკდისი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა საინფორმაციოს სიტყვა წარმოთქვა საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე. ამ სიტყვაში ნათლად შეიმჩნევა ორი ხაზი, ერთი მხრივ — ეს არის იმის რეალისტური აღიარება, რომ საჭიროა დაძაბულობის შენელება, საბჭოთა კავშირ-ამერიკის არსებულ სიტყვიერ და წერილობით შეთანხმებათა რეალიზაცია. განიარაღების შესახებ მოლაპარაკების (განგრძობა.

ჰ. კისინჯერმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას ცენტრალური ადგილი უკავია და რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს დაიცვას დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. დაძაბულობის შენელების პოლიტიკის საჭიროება ნაკარნახევია ობიექტური ფაქტორებით, რომელთა შორის მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით შეერთებული შტატების თანაბარია. ამიტომ, თქვა ჰ. კისინჯერმა, ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ „თავშეკავებას, თანაარსებობას და, საბოლოო ანგარიშით, თანამშრომლობას“.

ამასთან დაკავშირებით ჰ. კისინჯერმა ხაზი გაუსვა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას. თუ არავითარი შეზღუდვა არ შევიმუშავეთ, თქვა მან, სტრატეგიული შეიარაღების დარაგნი მეტოქეობას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს მომავალი საერთაშორისო ურთიერთობისა და კაცობრიობისათვის. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 1974 წლის ნოემბერში ვლადივოსტოკში მიღწეულ გრძელვადიან შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. „თუ შევძლებთ ვლადივოსტოკში მიღწეული თანხმობა ვაქციოთ 10 წლის შეთანხმებად, — ხაზი გაუსვა მან, — ეს იქნება იმის დადასტურება, რომ ჩვენ გადავაბიჯეთ ზღურბლს და შეუზღუდავი მეტოქეობის ნაცვლად დავიწყეთ ძალების უფრო დაბალ დონეზე. ხანგრძლივი სტრატეგიული წონასწორობის დამყარების ძნელი, მაგრამ მრავლისაღმთქმელი ფაზა“.

უპასუხა რა დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ამერიკელ კრიტიკოსებს, სახელმწიფო მდივანმა თქვა, რომ ახლა არ არსებობს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების მიღწევია მისაღები ალტერნატივა. თუ ამ შეიარაღების შეზღუდვის პროცესი დაირღვა, განავრცო ჰ. კისინჯერმა, ჩვენ იძულებული ვიქნებით ვიფიქროთ იმაზე, თუ რა ახალ ან დამატებითს სტრატეგიულ პროგრამებს განვახორციელებთ, როგორი იქნება მათი სავარაუდო ღირებულება. შეიარაღების ასეთი გადიდების პროცესში დაძაბულობა, ალბათ, გაძლიერდება. ბოლოს და ბოლოს ვერც ერთი მხარე ვერ ამიღებს სტრატეგიულ უპირატესობას. უკეთეს შემთხვევაში ისინი ფუჭად დახარჯავენ თავიანთ რესურსებს, უარეს შემთხვევაში კი გააძლიერებენ ატომური ომის საშიროებას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მივაღწიოთ შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

სახელმწიფო მდივნის სიტყვა ამავე დროს შეიცავს მეორე ხაზს—საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დამახინჯების ცდას. უგულებელყო რა საქმის ნამდვილი მდგომარეობა და ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა — ეს არის მშვიდობის პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის, სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები, ჰ. კისინჯერმა ილაპარაკა რაღაც „საბჭოთა ექსპანსიაზე“, საბჭოთა კავშირს მიაწერა „აგრესიული ზრახვები“ და ა. შ. ჰ. კისინჯერი ცდილობდა ამერიკის ჩარევა ანგოლის საქმეებში გამართლებინა, კერძოდ, უსაბუთო მტკიცებით, თითქოს იგი გამოწვეულია „საბჭოთა ინტერვენციით“ აფრიკის ამ ქვეყანაში. მაგრამ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 60-იანი წლების დამდეგიდან ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა პორტუგალიის კოლონიალიზმის ძალებს, როგორც მხარს უჭერს ახლა სახხრეთ აფრიკის რეაქციულიკის რასისტებსა და მეამბოხე დაჯგუფებებს, რომლებიც ანგოლის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ.

ერთი სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი თავისი სიტყვის ამ ნაწილში ცდილობდა, როგორც იტყვიან, თავდაყირა დაეყენებინა ფაქტები.

ერთსულოვნად დაგმეს

ლუანდა. (საკდისი). ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა ანგოლელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის საგანგებო საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც მოიწვიეს აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის ინიციატივით. კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს იმპერიალისტური აგრესია ანგოლელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მისნად ისახავს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირის გამოთხრას.

კონფერენციის დასკვნითს დოკუმენტებში — მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი მიმართვასა და გენერალურ დეკლარაციაში — ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ყველაფერი იღონონ, რათა შეწყდეს იმპერიალისტური აგრესია და შეუქმნან ძალიერ ხალხს პირობები ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის მისი ავანგარდის — ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მეძრაობის ხელმძღვანელობით.

პინოჩეტის დასახმარებლად

ვაშინგტონი. (საკდისი). რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფინანსური დახმარება გაეწიოს ჩილეს ფაშისტურ ხუნტას. ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა დაამტკიცა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის პრეზიდენტის რ. მაკნამარას წინადადება, რომ ჩილეს რეჟიმს მიეცეს პირველი სესხი 33 მილიონი დოლარის ოდენობით.

აღმასრულებელი დირექტორატის სხდომები მოიწყო საიდუმლოდ, მიუხედავად ამისა აქ ცნობილი გახდა, რომ ჩილეს სუბსიდირების საკითხის განხილვა მეტად მძაფრად მიმდინარეობდა. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ დასავლეთ ევროპის შთელი რიგი ქვეყნებისა და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთა საზოგადოებრიობა გულისწყრომით აღსავსე პროტესტს აცხადებს პინოჩეტის ხროვის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

გადაწყვეტილება სესხის მიცემის შესახებ მიღებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით, რომელსაც საბჭოში — კაპიტალის წილის პროპორციულად — ხმების 25 პროცენტი აქვს.

უმიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი. (საკდისი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო შეიკრიბა სხდომაზე, რათა განიხილოს ინდოეთის ოკეანის მოზამბიკის სრუტეში საფრანგეთის ყოფილი კოლონიის — კომორის კუნძულების მდგომარეობა.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი კომორის სახელმწიფოს მთავრობის მიმართვა შეიცავს თხოვნას, რომ „სასწრაფოდ მოიწვიონ უშიშროების საბჭო არქიპელაგში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით და იხმაროს ყველა აუცილებელი ღონისძიებანი ტერიტორიული მთლიანობისათვის

მიწისძვრის მსხვერპლნი

ნიუ-იორკი. (საკდისი). რიხტერის სკალით 7,5 बალამდე გუშინდელი მიწისძვრის შედეგად მთლიანად დაინგრა გვატემალის ხუთი ქალაქი. თუმცა გვატემალის ჩრდილოეთი ნაწილიდან, სადაც რეგისტრირებულია მიწისძვრის ეპიცენტრი, ჯერ ცნობები არ მოსულა. მაგრამ წინასწარი მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვმა 3.300-ს გადააჭარბა, ასი ათასობით მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა.

ქვეყნის დედაქალაქში, სადაც ყველაზე მეტად დაზიანდა ღარიბთა მჭიდროდ დასახლებული უბნები, სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში, სპეციალური რაზმების გარდა, მოზაწილეობს ქალაქის მოსახლეობა. ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა, ნაგრეკების გაწმენდა, დროებითი ქარვის ბანაკების მოწყობა სეროზულდაა გაძნელებული წყალ- და ენერგომომარაგების სისტემების დიდი დაზიანების გამო.

ხელისუფალნი საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა პირველი სამედიცინო დახმარება გაუწიონ დაშავებულთ, მოამარაგონ დაზარალებულნი სურსათითა და სასმელი წყლით, დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი.

„დასავლეთსა“ და „აღმოსავლეთსა“ საომარმა მოქმედებამ კორპუსის ჯარების წვრთნაზე ახალ რაიონში გადაინაცვლა. ახლა ფიცხელი ბრძოლები გრძელდება მოყვითალო-მონაცისფრო მთებით გარშემორტყმულ ხეობაში. წინა დღით ველი თოვლით დაიფარა. ოდნავ დათბა. ხშირი ნისლი ორიენტაციას ართულებდა.

წვრთნა უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება. მეომრებს მძიმე ტვირთად აწვებათ დაღლილობა, მაგრამ კვლავინდებურად კარგია ჯარისკაცების, სერჟანტების, პოლპორუჩიკებისა და ოფიცრების საბრძოლო განწყობილება, ისინი განუხრელად ესწრაფვიან პირნათლად შეასრულონ წვრთნის ყველა ამოცანა.

განსაკუთრებით უჭირთ მეომრებს, რომლებიც ავტომანქანების, ჯავშანტრანსპორტიორების სავეს, ტანკის ბერეტებს უსხედან. უმცროს სერჟანტ კოპორეევს, ეფრეიტორ ნერსესიანს, იგიონ ჯარისკაცებს ვილიაკო